საექსპერტო შეფასება

ქ. თბილისში, დიდი დიღომი, II მიკრორაიონი, ი. პეტრიწისა და დ. თავდადებულის ქუჩებს შორის (ნაკვეთი N6/72, საკადასტრო კოდი 01.10.06.006.072) მრავალბინიანი, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

შპს „არქიდიღომის“ ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით ჩვენს მიერ 2018 წლის აპრილში შემოწმებული იქნა საექსპერტიზოდ წარმოდგენილი ქ. თბილისში, დიდი დიღომი, II მიკრორაიონი, იოანე პეტრიწისა და დიმიტრი თავდადებულის ქუჩებს შორის მრავალბინიანი, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის არქიტექტურული და კონსტრუქციული ნახაზები, ტერიტორიის საინჟინრო–გეოლოგიის კვლევისა და შენობისა და მისი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების სისტემის კომპიუტერული გაანგარიშების შედეგები და განმარტებითი ბარათი:

დამკვეთი ორგანიზაცია:	შპს „არქი დიღომი“ – დირექტორი –ფ. წულაია,
პრ.მთ.არქიტექტორი:	ს. ავალიანი,
შემსრულებელი არქიტექტორი:	დ. სამხარაძე,
მთ. კონსტრუქტორი:	თ. მაცაბერიძე,
ექსპერტი-კონსტრუქტორი:	ნ. ჭკუასელი.

ასაშენებელი ნაგებობა შედგება 18 მიწისზედა სართულისგან, ავტოფარეხებისათვის მიწისქვეშა 2–სართულით და მიწის ზედა 1–სართულით, ხოლო დანარჩენი სართულები კი საცხოვრებელი ფართებისთვის.

შენობა გეგმაში სწორკუთხა მოხაზულობისაა, ზომებით 18X43,7მ, სვეტებს შორის მაქსიმალური მალი L=6,4მ. შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია, როგორც ჩარჩო–კავშირებიანი სისტემა რკინა–ბეტონის დიაფრაგმებით. ძირითადი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების ზომები: საძირკვლის ფილა – h=110სმ; სვეტები 80÷40სმ X 80÷40სმ; პილონები – 50÷40სმ X 100÷60სმ; მონოლითური კედლები – 30სმ; დიაფრაგმები – 30სმ; გადახურვის ფილები სისქით 18÷20სმ; მონოლითური კოჭები 40÷20სმ X ; 50÷30სმ.

შენობის ტერიტორიის საინჟინრო–გეოლოგიური პირობები:

შენობის დაფუძნება განხორციელებულია 110სმ–ის სისქის რკინა–ბეტონის ფილით თიხოვან გრუნტზე. (ხვინჭისა და ღორღის იშვიათი ჩანართებით, ქვიშისა და ქვიშნარის თხელი 10÷15სმ შუა შრეებით), რომლის პირობითი საანგარიშო წინაღობა R_0 = 2.5კგ.ძ.სმ², ხოლო დეფორმაციის მოდელი E=200კგ.ძ./სმ²,

საძირკვლის ფილის ქვეშ გათვალისწინებულია შრეობრივად დატკეპნილი 100სმ სისქის ხრეშის ბალიშის მოწყობა და 10სმ–იანი სისქის B75 კლასის ტიპის ბეტონის მომზადება, ფუძე–გრუნტის წინასწარი დატკეპნით.

შენობის ყველა მზიდ კონსტრუქციაში (საძირკვლის ფილაშიც) გამოიყენება ბეტონი B30 კლასის. სამშენებლო მოედანი ხასიათდება გრუნტის წყლების არსებობით, რაც გასათვალისწინებელია!

რკინა–ბეტონის კონსტრუქციებში პროექტით გამოყენებულია A500C და A240C კლასის არმატურა.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო–გეოლოგიური კვლევების შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მიხედვით დადგენილია, რომ სამშენებლო მოედანი მიეკუთვნება 8–ბალიანი სეისმური საშიშროების ზონას. MSK64 სკალის მიხედვით.

სამშენებლო მოედანზე ქარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს 85კგ.ძ./მ²–ზე – (15–წლიანი განმეორადობის პერიოდით), ხოლო თოვლის საფარის ნორმატიული დატვირთვა – 50კგ.ძ./მ²–ზე.

შენობისა და მისი მზიდი კონსტრსუქციული ელემენტების, როგორც ერთიანი სივრცითი სისტემის გაანგარიშება შესრულდა სტატიურ (მუდმივ და დროებით) და დინამიურ (სეისმურ) ზემოქმედებაზე სერტიფიცირებული და ლიცენზირებული კომპიუტერული საანგარიშო კომპლექსის ЛИРА-САПР 2013–ის გამოყენებით (სალიცენზიო N92095856).

„განმარტებით ბარათში“ სამართლიანადაა მითითებული რჩევები:

– გაეწიოს სათანადო კონტროლი დაბეტონებისას ბეტონის მარკას, დაბეტონების ხარისხს და სამუშაოთა წარმოების პროცესებს;

– შემოწმებული იქნას არმატურის შემოტანილი პარტიის ხარისხი, შესაბამისი აქტის გათვალისწინებით.

– არმატურის ღეროების გადაბმა, ჩაანკერება ბეტონის ტანში განხორციელდეს შესაბამისი სტანდარტების მიხედვით, და ა.შ. და ა.შ. პროექტის ავტორებთან შეთანხმებით. ვიზიარებთ ამ რჩევებს და დამატებით მიზანშეწონილია დაიცვან უსაფრთხოებისა და ხარისხიანობის პირობები.

აღსანიშნავია, რომ შესრულებულია საკმაოდ დიდი მოცულობის სამუშაო, ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, საკმაო მოცულობით, მაღალ პროფესიონალურ–ტექნიკურ დონეზე.

წარმოდგენილი მასალების განხილვის შემდეგ ექსპერტს გააჩნია პროექტის მიმართ აღნიშნული უმნიშვნელო შენიშვნები, რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს სამუშაოთა წარმატებით განხორციელებას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო შესაძლოა გაკეთდეს საინჟინრო ტექნიკური ხასიათის საერთო დასკვნა:

დასკვნა

ქ. თბილისში, დიდი დიღომი, II მ/რ, ი. პეტრიწისა და დ. თავდადებულის ქუჩებს შორის მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის გაცნობისას შენობისა და მისი კონსტრუქციული ელემენტების, როგორც ერთიანი სივრცული კარკასული სისტემის კომპიუტერული მოდელის გაანგარიშებისა და შედეგების ანალიზი იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ მისი მდგრადობა და მედეგობა უზრუნველყოფილია. პროექტის მიმართ უმნიშვნელო შენიშვნების გათვალისწინებით, შეიძლება იყოს რეკომენდირებული დასამტკიცებლად და გაიცეს მშენებლობის ნებართვა.

ექსპერტი:
საქართველოს დამსახურებული მშენებელი,
ტექნიკურ მეცნიერებეთა კანდიდატი: ნ. ჭკუასელი



01026007411

ნიკოლოზ

ჭკუასელი

09.08.1934 წ.

თბილისი

N° ა 0207506

К № 756982

ეს დიპლომი მიეცა ნიკოლოზ პეტრეს ძე ჭკუასელს

მასზე, რომ იგი 1952 წელს შევიდა საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსან პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

და 1958 წელს დაამთავრა ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით ჰიდროტექნიკური მშენებლობა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1958 წ.
„20“ იანვრის გადაწყვეტილებით
ნ. პ. ჭკუასელს მიენიჭა ინჟინერ-მშენებლის [illegible] სამრეწველო [illegible] კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე ა. [illegible]

რექტორი (დირექტორი) [illegible]

მდივანი ნ. [illegible]

[illegible] 1958 წ.

სარეგისტრაციო № 66

К № 756982

Настоящий диплом выдан Чкуасели
Николаю Петровичу
в том, что он в 1952 году
поступил в Грузинский Ордена
Трудового Красного Знамени поли-
технический институт им. С. М. Кирова
и в 1958 году окончил полный курс
названного института
по специальности Гидротехническое
строительство

Решением Государственной экзаменационной
комиссии от 20 января 1958 г.
Чкуасели Н. П.
присвоена квалификация инженера-строи-
теля с правом произв. общестроит. работ.

Председатель Государственной экзаменационной комиссии А. [illegible]

Ректор (директор) [illegible]

Секретарь [illegible]

Город Тбилиси 1958 г.

Регистрационный № 66

Московская ф-ка, тип. им. В. М. Молотова Гознака. 1955.

ДИПЛОМ
НДИДАПА НАУК

МТН № 041079

Москва 5 марта 196 Jг.

Решением
Совета при Тбилисском научно-исслед. институте сооружений и гидроэнергетики им. А.В. Винтера
от 7 мая 1968 г. (протокол № 2)

Чкуасели Николаю Петровичу

ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ КАНДИДАТА ТЕХНИЧЕСКИХ НАУК

Председатель Совета

Ученый Секретарь Совета

UNITED STATES OF AMERICA

THE INTERNATIONAL ACADEMY OF SCIENCES, INDUSTRY, EDUCATION & ARTS

PRESENTED TO

NIKOLOZ CHKUASELY

IN RECOGNITION AND CERTIFICATION OF BEING ELECTED
AN **ACTIVE MEMBER** OF
THIS ACADEMY

December 27, 1995

THE INTERNATIONAL ACADEMY · SCIENCES, INDUSTRY, EDUCATION & ARTS ·

President M Bakhmutsky

CALIFORNIA

საქართველოს საინჟინრო აკადემია

დიპლომი № 2-263

ეძლევა ბატონ

ნიკოლოზ ჩხეიძეს

მასზედ, რომ 2007 წლის 21 ნოემბერს იგი არჩეულ იქნა საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად)

პრეზიდენტი ა. პრანგიშვილი

აკადემიკოს-მდივანი თ. გორგიძე

თბილისი, 2007

THE GEORGIAN ENGINEERING ACADEMY

DIPLOMA № 2-263

Is given to Mr

Nikoloz Chkuaseli

That in November, 21, 2007 he was electe as a **Full member (Academician)** of the Georgian Engineering Academy

President A. Prangishvili

Academician-secretary T. Gorgidze

Tbilisi, 2007

საქართველოს საინჟინრო აკადემიის
ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი)

ბ-ნი ნიკოლოზ პეტრეს ძე

ჭკუასელი

(არჩეულია 2007 წლის 21 ნოემბერს)

პირადი ხელის მოწერა

აკადემიის პრეზიდენტი

ა. შენგელაია

Действительный член (Академик)
ИНЖЕНЕРНОЙ АКАДЕМИИ ГРУЗИИ

г-н *Чкуасели*

Николай Петрович

(избран 21 ноября 2007 года)

№ 2-263

Full Member (Academician) of
The ENGINEERING ACADEMY of
GEORGIA

Mr. *Nikoloz P. Chkuaseli*

(elected on November 21, 2007)

ENGINEERING ACADEMY of GEORGIA

დაჯილდოვების

სიგელი

მაგრის ნიკოლოზ ფკუასძეს

საქართველოს მშენებლობის განვითარების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილის, მაღალი პროფესიონალიზმის და ნაყოფიერი საქმიანობისათვის საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 27 ოქტომბრის №1-1/1266 ბრძანებით მიენიჭა

საქართველოს დამსახურებული მშენებლის წოდება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი	საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე	საქართველოს მშენებელთა ფედერაციის პრეზიდენტი
გიორგი არველაძე	[illegible]	[illegible]

MINISTRY OF ECONOMIC DEVELOPMENT OF GEORGIA 203840433

GEORGIAN CONSTRUCTORS FEDERATION 204923404

CV

ჭკუასელი ნიკოლოზი

გვარი, სახელი, მამის სახელი	ჭკუასელი ნიკოლოზ პეტრეს–ძე
დაბადების თარიღი, ადგილმდებარეობა	1934წ., 9 აგვისტო, ქ. თბილისი
მისამართი, ტელეფონი	ქ. თბილისი, ბახტრიონის 1–ლი კორ., ბ.200 ტელ.: 2362501, მობ.: 555 36 25 01
განათლება	1952წ. – ქ. თბილისის ვაჟთა მე–7 საშ. სკოლა 1958წ. – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი. მშენებელ–ინჟინერის სპეციალობით.
მინიჭებული კვალიფიკაცია	1968წ. – ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი – (დიპლომი). 1995წ. – აშშ–ს მეცნიერების, განათლების, მრეწველობის, ხელოვნების საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი – (სიგელი) 2006წ. – საქართველოს დამსახურებული მშენებელი – (სიგელი) 2007წ. – საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი – (დიპლომი)
საქმიანობა, სამუშაო გამოცდილება	1958–1962წ.წ. – „თბილქალაქპროექტი“ – ინჟინერ–კონსტრუქტორი. 1962–1976წ.წ. – სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ–თანამშრომელი. 1976-1992წ.წ. – ამავე ინსტიტუტში – შეთავსებით, მეცნიერ–თანამშრომელი. 1976–1996წ.წ. – მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტში („საქსახმშენი“) – სამმართველოს, მთავარი სამეცნიერო–ტექნიკური სამმართველოს უფროსი, კოლეგიის წევრი. 1996წ. დღემდე – სახელმწიფო ლიცენზირების ცენტრი, შპს საპროექტო სამშენებლო ინჟინერინგი – დირექტორის მოადგილე, დირექტორი. 1971–1974წ.წ. – ალჟირის სახალხო–დემოკრატიული რესპუბლიკა, მივლინებით – საკონსტრუქტორო ბიურო, საპროექტო–ტექნოლოგიური, სასწავლო ინსტიტუტი – უფროსი ინჟინერი, ჯგუფის უფროსი, ლექტორი. 1977–1992წ.წ. – საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე.
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები, პუბლიკაციები და ექსპერტიზა	გამოქვეყნებულია 48 სამეცნიერო შრომა – სამშენებლო კონსტრუქციების ექსპერიმენტალურ–თეორიული კვლევების განხრით. თხუთმეტზე მეტი პუბლიკაცია რესპუბლიკისა და უცხოეთის ჟურნალ–გაზეთებში – მშენებლობის დარგის განვითარების, საქართველოს მშენებელთა მოღვაწეების შესახებ; მონაწილეობა საქართველოსა და უცხოეთში სამეცნიერო კონფერენციებში. გაცემულია 100–მდე საექსპერტო დასკვნა პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე და საერთოდ მშენებლობის მდგრადობაზე. სამსახურებრივი მოვალეობის შესაბამისად კურატორობდა და პირადად მონაწილეობდა „სამშენებლო ნორმებისა და წესების დამუშავება–გამოქვეყნებაში“.
ენების ცოდნა	ქართული – მშობლიური რუსული – კარგად ინგლისური, ფრანგული – სასაუბრო, თარგმნა ლექსიკონის დახმარებით.

DISEGNO 20812646 ... 0.5